ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ქართული ფილოლოგია

ნინო ჯიღაური

მნათობთა სიმბოლიკა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში

ნაშრომი შესრულებულია ქართული ფილოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ელენე გოგიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

1. **შესავალი** 4
2. მზის სიმბოლიკა დედაბოძის ორნამენტიკაში 7
   - § 1. 1 ბორჯღალას წრესთან კავშირისათვის 9
   - § 1. 2 მცირე მნათობები დედაბოძის ორნამენტში 10
3. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება წმინდა გიორგისა და მთვარის ღვთაების კავშირის შესახებ 15
   - § 2. 1 კვირის დღეთა განსაზღვრისათვის 19
4. მზის სიმბოლიკა ამირანის ეპოსში 21
5. ნაწილიანობა 27
6. მნათობთა სქესის განსაზღვრისათვის 30
7. ლექსის ,,მზე შინა და მზე გარეთა" სიმბოლიკა 39
8. დასკვნა 43
9. გამოყენებული ლიტერატურის სია 45

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი თემაა ასტრალურ ნიშანთა სიმბოლიკა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და რწმენა-წარმოდგენებში. სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს მნათობთა სიმბოლოების შესწავლას ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით. ნაშრომში განხილულია მნათობთა სიმბოლიკის თავისებურებები და ასპექტები; აღწერილი და გაანალიზებულია ის ნიშან-თვისებები და ფუნქციები, რაც მათ ჰქონდათ ხალხურ წარმოდგენებში.

ნაშრომის კვლევის ობიექტია ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ნიმუშები, კერძოდ, ქართული ხალხური ზღაპრები, ლექსები, თქმულებები, ამირანის ეპოსი და სხვა. გარკვეულ საკითხთა დამუშავებისას გამოყენებულია ასევე ხალხურ დღეობათა აღწერილობები. ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა მთელი რიგი სფეციფიკური ფუნქციები და ნიშან-თვისებები, რომლებიც დროთა განმავლობაში მიეწერათ მნთობებს.

შესავალი

კაცობრიობა თავისი განვითარების გზაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად გამოხატავდა საკუთარ მდგომარეობას. იქნებოდა ეს გარკვეულ საკითხზე ფიქრი, პრობლემის აღმოფხვრის გზების ძიება თუ რაიმე აღმოჩენა. დამწერლობამდელ ეპოქებში ეს ყველაფერი ზეპირსიტყვიერი გზით ანდა ჩანახატების სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. და თუკი ჩვენ გვსურს გავიგოთ ვინ ვართ, რანი ვართ, საიდან მოვდივართ, აუცილებლად უნდა ვიკვლიოთ ფოლკლორი და სწორედ აქ ვეძებოთ კითხვებზე პასუხები.

ზეპირსიტყვიერი მასალების ზოგიერთი ნიმუში განსაკუთრებული სიზუსტით აღგვიწერს ამა თუ იმ პერიოდს და დეტალურად მოგვითხრობს იმ დროისთვის არსებული ხალხური ტრადიციების, შეხედულებების და ა.შ. შესახებ. მათი ერთობლიობა თვალნათლივ წარმოგვიჩენს ხოლმე ხალხის მიერ განვლილ ისტორიის საფეხურებს.

ზეპირსიტყვიერებას დამწერლობამდელ ეპოქაში ერთდროულად ეკისრებოდა ლიტერატურისა და ისტორიის, ასევე რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრებების მოვალეობა. მათში თავს იყრიდა საზოგადების გამოცდილება, ცოდნა, ნააზრევი და რწმენა- წარმოდგენა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

სწორედ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს შეეხება ჩემი სამაგისტრო ნაშრომი. კერძოდ, ასტრალურ ნიშანთა სიმბოლიკას და საზოგადოების დამოკიდებულებას მათ მიმართ.

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს მნათობთა სიმბოლოების შესწავლას ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით.

ნაშრომის კვლევის ობიექტია ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ნიმუშები. კერძოდ, ქართული ხალხური ზღაპრები, ლექსები, თქმულებები, ამირანის ეპოსი და სხვა. გარკვეულ საკითხთა დამუშავებისას გამოვიყენე ასევე ხალხურ დღეობათა აღწერილობები. ნაყოფიერი აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო საგნებზე ამოკვეთილ სიმბოლოებზე დაკვირვება და მათი კვლევა მნათობთა სიმბოლიკის გამოსარკვევად.

თემაზე მუშაობისას გამოიკვეთა მთელი რიგი სპეციფიკური ფუნქციები და ნიშან-თვისებები, რომლებიც დროთა განმავლობაში მიეწერათ მნთობებს. მაგალითად, ხალხური წარმოდგენების თანახმად, მნათობებს გააჩნდათ სქესი, შესაბამისად ფუნქციურად გადანაწილებულნი იყვნენ ცოლისა და ქმრის, დედისა და ვაჟის, დისა და ძმის ადგილებზე.

როგორც აღმოჩნდა, ხალხური დღესასწაულებიც კი იმართებოდა მნათობთა საპატივსაცემოდ. იმართებოდა რიტუალები, სადაც არსებული ტრადიციების თანახმად, უდიდესი პატივისცემით განმსჭვალული მოსახლეობა შესაწირს მიართმევდა ხოლმე ამ თუ იმ მნათობს.

რწმენა მზის, მთვარის და ვარსკვლავების ზებუნებრივი შესაძლებლობებისადმი იმდენად დიდი იყო, რომ მოსახლეობა საცხოვრებელი სახლის დედაბოძზე და საყოფაცხოვრებო ნივთებზე გამოსახავდა მათ სიმბოლოებს. თითოეულ მათგანს თავისი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, თუმცა მათი ყველას ფუნქცია და დანიშნულება იყო ადამიანების მფარველობა და დაცვა ბუნებაში არსებული ბოროტი ძალებისგან.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა.

მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა სიმბოლიკის კვლევისას, ზეპირსიტყვიერ მასალებში, გარდა უშუალოდ ზღაპრებზე, თქმულებებზე და ეპოსზე მუშაობისა, ანალიზისას გამოვიყენე ქართველ ფოლკლორისტთა ნაშრომებიც.

ამირანის ეპოსში მნათობთა სიმბოლური დატვირთვის კვლევისას ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა მიხეილ ჩიქოვანის წიგნი ,,მიჯაჭვული ამირანი".

აქვე მოვიხსენიებ თეიმურაზ ქურდოვანიძის წიგნს ,,ქართული ეპოსის საგანძური", სადაც მეცნიერი განმარტავს ნაწილიანობის კონცეფციას. მის მიერ გავლილი საკითხი დამეხმარა ამირანის ეპოსის გმირთა ნაწილიანობის აღქმასა და გაანალიზებაში.

ბორჯღალის, ვარსკვლავისებური და სოლარული ნიშნების სიმბოლიკაზე დაკვირვებისას, მათი კონკრეტულ მნათობთა სიმბოლიკის გამოსარკვევად, ძირითად

დამხმარე სახელმძღავნელოს წარმოადგენდა ირაკლი სურგულაძის წიგნი ,,ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა". მეცნიერი ზედმიწევნით განიხილავს მნათობთა სიმბოლიკის საკითხს ქართულ ორნამენტებში. კერძოდ, სახლის შიდა სივრცის, კერიის, დედაბოძის და სხვა ნიმუშების მაგალითზე.

მნათობთა სიმბოლიკის კვლევისათვის აქტიურად აქვს ნამუშევარი ივანე ჯავახიშვილს. ,,ქართველი ერის იტორიის" მეხუთე ტომში მან რამოდენიმე თავი მიუძღვნა მთვარის სიბოლიკის განსაზღვრას ქართულ ხალხურ წარმოდგენებში. გამოიკვლია ასევე წმინდა გიორგისა და მთვარის კულტისადმი მიძღვნილ რიტუალთა ურთიერთმიმართების საკითხი და აქვე განიხილა მნთობის სიმბოლური მნიშვნელობიდან გამომდინარე კვირის დღეთა ქრონოლოგის და სახელთა განსაზღვრის მიზეზები.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ასტრალური სიმბოლიკა ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კერძოდ, ბორჯღალისა და მზის ურთიერთმიმართება და მცირე მნათობები დედაბოძის ორნამენტში. მეორე თავი ეთმობა ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას წმინდა გიორგისა და მთვარის ღვთაების კავშირის შესახებ. მესამე თავში ნაჩვენებია კვირის დღეთა კავშირი მნათობებთან. მეოთხე თავში გაანალიზებულია მნათბთა სიმბოლიკა ამირანის ეპოსში, რომელიც ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს მეხუთე თავისა, სადაც საუბარია ნაწიალიანობის მნიშვნელობაზე. ბოლო თავები მოგვითხრობს მნათობთა სქესის განსაზღვრის სფეციფიკაზე ქართველთა წარმოდგენებში.

თავი 1

მზის სიმბოლიკა დედაბოძის ორნამენტიკაში

ხალხური დეკორატიული ხელოვნება წარმოადგენს ერთგვარ ისტორიულ წყაროს, რომელშიც შემონახულია ეთნოსის ხანგრძლივი კულტურული ცხოვრების საფუძველზე შემუშავებული კოსმოგონიის, მითისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ანალიზი. ამ საკითხის შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევა ეკუთვნის ქართველ ეთნოლოგ ირაკლი სურგულაძეს, რომლის მონოგრაფია „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.

ხალხური ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, ორნამენტთა სიმბოლური ნიშნები, შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი ფორმა საზოგადოების შეხედულების გამოხატვისა. როგორც წესი, მათში ჩადებულია მთელი რიგი ინფორმაციები, რომლებსაც ერთ და იმავე დროს გააჩნიათ მითოლოგიური, კოსმოგონიური, რელიგიური, მაგიური და ა.შ. ასპექტები. ამ ყოველივეს, უშუალო შეხება აქვს ერთმანეთთან.

მეცნიერთა დაკვირვებით, სიმბოლური აზროვნების ფორმები არ ისაზღვრება გეოგრაფიული ან ეთნიკური ჩარჩოებით. ასახული იდეების სამყარო უნივერსალურია და საერთოდ გავრცელებულია.

დროთა განმავლობაში, იშვიათად იცვლებოდა გამოსახულებათა გრაფიკული მხარე, თუმცა, სამაგიეროდ, მკვეთრად გარდაიქმნებოდა ან საერთოდ ქრებოდა ხოლმე სემანტიკური ქვეტექსტი. არის შემთხვევები, როდესაც სიმბოლოს იდეა რჩებოდა, თუმცა კარგავდა აქტუალობას. იცვლებოდა საზოგადოების დამოკიდებულება მისდამი. მაგალითად, რადიალურად გასხივებული წრე მზის სიმბოლოა, მაგრამ შედარებით ახალ პერიოდებში, იგი უკვე აღარ არის რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი.

ქართულ რეალობაში დედაბოძი აღმოჩნდა ის ადგილი,რომელიც აერთიანებს ყველა ძირითად, ლოკალური ხასიათის ნიშანს, რომელიც ორნამენტში გვხვდება.

მზისადმი თაყვანისცემისა და საკულტო მსახურების კვალი ქართული დედაბოძების ორნამენტში შემორჩენილია ბორჯღალათი გაფორმებული წრის სახით.

სწორედ "ბორჯღალას" უკავია დედაბოძის სიმბოლოთა კომპოზიციაში განსაკუთრებული ადგილი. იგი სხვა ორნამენტებთან შედარებით მოცულობით, განსაკუთრებული გაფორმებით და სიმრავლით გამოირჩევა. როგორც წესი, დიდი ფორმის "ბორჯღალას" დეკორატიული ფართობის ცენტრში გამოსახავდნენ და მას გასხივოსნებული მზის მნიშვნელობა ჰქონდა. მცირე მოცულობის კონცენტრირებული წრეებისგან შედგენილი ნიშნები, რომლებიც ობიექტის განაპირასაა მოთავსებული, დისკოს მნიშვნელობის მატარებელია.

გარდა დედაბოძისა, "ბორჯღალი" გვხვდება სკივრებზე, თიხისა და ხის ჭურჭელზე, მერხზე , ტახტზე, ქვაზე ამოკვეთილი ბუხრის ანდა კერიის დეკორში და ა.შ.

მასში მთავარ დეტალს თანაბარი ზომის ფრთები წარმოადგენს. ისინი ერთი წერტილიდან გამოდიან და ერთი მიმართულებით მოძრაობით ტრიალს, ბრუნვას გამოსახავენ.

"ბორჯღალას" ჩახატვა წრეში გამოხატავს მნათობის ასტრალურ მდგომარეობას. უძველესი დროიდან, წრე გამოხატავდა ცისა და მზის ცნებას. ამის მაგალითებს ვხვდებით ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, ძველი აღმოსავლეთის ხალხებში და კავკასიაში.

იმ ფაქტს, რომ "ბორჯღალა" მზის სიმბოლოა, მისი სახელწოდება ვერ გვიდასტურებს, რადგან იგი შედარებით გვიან უნდა იყოს შემოსული ხმარებაში. სახელით "ბორჯღალა" ხაზგასმულია ორნამენტული ნიშანის სტილი,მისი დინამიურობა, ტრიალით მოძრაობის გადმოცემის ცდა.

ბრუნვის ხსენებისას, ავტომატურად შემოდის ბორბლისა და მზის კავშირის საკითხი. მეცნიერთა მოსაზრებით, სწორედ რელიგიური კერძოდ, სოლარული წარმოდგენების მოტივზეა აგებული ბორბალი.

როგორც ჩანს, კავკასიაშიც, ბრინჯაოს ხანაში, მზე წრესთან და ბორბალთან იყო დაკავშირებული. არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილ ნივთებზე ხშირადაა გამოსახული ,,ბორჯღალა" ეტლის ბორბლის ადგილას. იგი გამოყენებულია ტრანსპორტის სწრაფი მოძრაობის გადმოსაცემად. ერთდროულად გამოხატავს როგორც ბრუნვას, ასევე წინსვლას.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ,,ბორჯღალა" ნათებისა და სიმხურვალის ასტრალური ნიშანია და ასევე აღნიშნავს, ერთი მიმართულებით სვლას და საკუთარი ცენტრის გარშემო ტრიალს.

მასალებზე დაკვირვებით, ორნამენტული ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ მზის ნიშანი, რადგან მთვარის მოძრაობა სულ სხვანაირად წარიმართება. გარდა ამისა, მისი ნიშან-თვისებების გამომხატველი ნამდვილად ვერ იქნება ნათებისა და სიმხურვალის ნიშანი-,,ბორჯღალა".

ბორჯღალას ხშირად ვხვდებით ღვთაების ატრიბუტული ცხოველების სხეულებზე. ერთ-ერთი ასეთი არის ლომი, რომელიც გვევლინება მზიურ, ცეცხლოვან ცხოველად და შეუძლია სნეულებების განკურნება. იგი ასევე დაკავშირებულია ნაყოფიერების კულტთან და სულეთის სამყაროსთან. ეს უკანასკნელი კი ლომს აღდგენად და მოკვდავ ღვთაებათა სამყაროსთან აკავშირებს.

ქართულ მასალებში ლომის გამოსახულებები ძირითადად სიცოცხლის ხის მოტივებშია გავრცელებული.

§ 1. 1 ბორჯღალას წრესთან კავშირისათვის

ბორჯღალას წრეში ჩახატვა, ორნამენტიკაში აღიქმება, როგორც მისი ასტრალური მნიშვნელობის გამოხატვა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვპოულობთ მაგალითებს,რომელთა მიხედვითაც, მზისა და ცის ცნება, წრის სახით გადმოიცემოდა.

ქართველთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ცა მრგვალი სახის იყო. ჩვენს ენაში ვხვდებით კიდეც ამის დამადასტურებელ სიტყვას: "ცარგვალი". ამ და სხვა

მაგალითებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს,რომ წრისა და საგნის ერთმანეთთან დაკავშირება, ამ უკანასკნელს ასტრალურ შინაარსს ანიჭებდა. ამრიგად, წრეში ჩახატული ბორჯღალი, "ბორჯღლიან მირგვალაი", როგორც მას ხევსურები უწოდებნენ, უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ასტრალურ სიმბოლოს, რომელიც წრისა და ბორჯღალას ურთიერთობის ნიადაგზეა შექმნილი.

წრეში ჩახატული ბორჯღალა ბორბალთანაც უნდა ყოფილიყო ასოცირებული. არსებობს ნიმუშები, სადაც ეს სიმბოლო, სარტყელში მოქცეული, ეტლის ბორბლის ადგილასაა განთავსებული.

ნიშანი, პირველ რიგში, გამოხატავს ბორბალს, გადაადგილების საშუალებას. გარდა ამისა, მიგვანიშნებს ეტლის სწრაფ მოძრაობაზე, მისი ბრუნვისა და წინსვლის მეშვეობით.

ამჯერად, წრეში ჩახატული ბორჯღალი გარდა ნათებისა და სიმხურვალისა, მოძრაობის სიმბოლოცაა და გამოხატავს საკუთარი ცენტრის გარშემო ტრიალს და ერთი მიმართულებით სვლას. იგი დაკავშირებულია სოლარულ სამყაროსთან. წრეში ჩასმული ორნამენტი გამოსახავს მზეს, რომელიც მოძრაობს ცაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთსაკენ.

§ 1. 2 მცირე მნათობები დედაბოძის ორნამენტში

კიდევ ერთი სიმბოლო, რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული დედაბოძის ორნამენტში, გახლავთ რადიალურად განსხვავებული დისკო, წრიული ფიგურა. იგი ზოგჯერ წრეშია ჩასმული, ზოგჯერ კი მის გარეშე გვევლინება. ამ ორნამენტულ ფიგურას ძირითად შემთხვევებში, გაფორმებული სივრცის პერიფერიებში აქვს ადგილი მიჩენილი, თუმცა ზოგჯერ "ბორჯღალასთან" ერთად ცენტრალური ადგილი უჭირავს დეკორში.

ფიგურის ვარიანტულობა გარკვეულ კითხვებს ბადებს: მათი ერთი სახეობა აშკარად მზეს გამოხატავს, იმავე ტიპის, ხაზოვნად ან ფოთლისებურად გასხივებული

ასტრალური ნიშნებიც აშკარად ცის სხეულებს გამოსახავენ, მაგრამ გასარკვევია თუ რომელი მნათობის გარშემო არსებულ ნიშნებს ასახავენ.

ხევსურული ტერმინოლოოგიის მიხედვით, მათ ,,ხუთანს" უწოდებენ, სვანურის- ვარსკვლავს, თუმცა არ ფიქსირდება, რომელ ვარსკვლავს.

გარდა დედაბოძისა, ფიგურა გვხვდება საფლავის ქვებზე, ლითონის, თიხის ან ხის ჭურჭლის ფსკერზე, მის გვერდებზე, მათარაზე და სხვა.

წრიული ცენტრის მქონე სხივიანი ვარსკვლავები ხშირია ისეთ ნივთებზე, რომლებზეც გამოსახულია ნადირობის სცენები, ასტრალური ნიშნით აღბეჭდილი მტაცებლები, ირმები, ჯიხვები და სხვა.

ქართულ ფოლკლორში ირემი და ჯიხვი ხშირად გვევლინებიან არაბუნებრივი ძალების მქონე არსებებად. ზოგჯერ ისინი გარკვეულ კავშირს ავლენენ ღვთაებათა სამყაროსთან.

ზღაპარი ,,მზის დედა" მოგვითხრობს ერთ კაცზე, რომელსაც სიმართლის დასადგენად მზის დედასთან ასვლა მოესურვა. მის დამხმარედ გვევლინება ირემი. ცხოველი შუა მინდორში იდგა, ზედ ალვის ხე ამოსვლოდა და ხეზე კიდევ კიბე იდგა. ირემმა შემწეობა გაუწია ზღაპრის მთავარ გმირს და ერთი ბღუჯა ბალახის სანაცვლოდ იგი ზეცაში აიყვანა. (ქართ ხალხ ზღ.ტ2,გვ 229)

ამ ტიპის ზღაპრის ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ირემს უშუალოდ თავისი რქების დახმარებით, მათი გავლით აჰყავს გმირი ზეცაში.

კიდევ ერთი ტიპის ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც ირემს ციურ სამყაროსთან აკავშირებს, გახლავთ ხალხური თქმულება ირმისა და ხარის შესახებ.

თქმულების მიხედვით, როდესაც ღმერთმა სამყარო შექმნა, დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რომელი პირუტყვი გამოადგებოდა ადამიანს. მოიხმო ირემი დახარი და უბრძანა, გაიქეცით და ვინც უფრო მალე გადაირბენს ცას, იმას დავასაჩუქრებო. ხარი დინჯად წავიდადა უხიფათოდ მივიდა დანიშნულების ადგილამე. დალოცა ღმრეთმა ხარი და მას შემდეგ ამ ცხოელსაწევსადამიანის შენახვის ტვირთი. ირემმა იჩქარა. ზედმეტი

გარბენისგან გაიბერა და მოკვდა.შემოგვრჩა მხოლოდ მისი ნაკვალევი,რომელსაც, ირმის ნახტომი ეწოდება.(კოტეტიშვილი ვ. ,,ხალხური პოეზია" .გვ381)

ირმისა და მზის კავშირისათვის აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ფარნავაზის ამბავი. მას ესიზმრა როგორ შემოერტყა ირგვლივ მზის სხივი, გაიყვანა სარკმლიდან და მინდვრად გასულს თავად მზის ცვრით დაბანა პირი.

საბედისწერო აღმოჩნდა ფარნავაზისთვის ეს სიზმარი. სანადიროდ წასული, თავისივე დაჭრილმა ირემმა განძით სავსე გამოქვაბულამდე მიიყვანა.

ცხოველსა და მნათობს შორის კავშირი აშკარაა. ფარნავაზს თავისმა მფარველმა მნათობმა-მზემ ირმის დახმარებით მოუვლინა ხსნა,აპოვნინა განძი.

ირემი გარკვეულ სიმბოლურ მიმართებას ავლენს ნადირთ პატრონ დალთან.

პირველ რიგში, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქალღმერთის უდროოდ დაბადებული ნაყოფი, ამირანი სწორედ ირმის ფაშვშვი იდებს ცოტა ხნით ბინას, მოსაშუშებლად. ეს ერთგვარად ინიციაციის სიმბოლური აქტიცაა.

მაღალმთიან რაიონებში, სადაც უმეტესად ჯიხვია გავრცელებული, მსგავსი თქმულებები უკვე მას უკავშირდება.

სვანეთში ჩაწერილი ლექსის მიხედვით, მონადირემ ქალღმერთის შვილი მგლისგან გადაარჩინა. დალმა მას მადლობის ნიშნად საჩუქრები შესთავაზა: საკუთარი თავი, ყოველ დღე ერთი შუნი ანდა ცხრა ჯიხვი სექტემბრის თვეს. მონადირემ ეს უკანასკნელი აირჩია, მაგრამ მათში რჩეულს, ოქროს რქიანს ესროლა, რითაც ფაქტობრივად საკუთარი ბედისწერა განსაზღვრა. რჩეული ჯიხვის მოპოვების მცდელობისათვის, მონადირე სიკვდილით დაისაჯა. (ვირსალაძე ე. სამონადირეო ეპოსი. გვ 209)

თავად ქალღვთაებაც არაერთხელ გამოცხადებია მონადირეებს თეთრი შუნის სახით და მიუტყუებია იგი მიუვალ კლდეებში.

"ჯიხვებს უძველესი ხანიდან უხატავდნენ დაკორძილ, მძიმე რქებს, რომელთა რკალში ჩასმულია ვარსკვლავისებური ნიშნები, ჯვარი, სოლარული ნიშანი, ფრინველი." (სურგულაძე- ქართული ხალხურიორნამენტის სიმბოლიკა.გვ.96)

ი.სურგულაძე ვარაუდობს, რომ რქებში შეიძლება იყოს ღვთაების სიმბოლო, რომელთაც მომდევნო ხანების ნიმუშებში, უშუალოდ ცხოველის სხეულზე გამოხატავდნენ.

ამ ძეგლებში ჯერ არაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული "ნაწილიანობის" კონცეფცია, თუმცა საფუძველი აშკარად ჩანს.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ეს მასალებიც საკმარისია, იმ კავშირის დასადგენად, რომელიც ირმის, ჯიხვის და სხვათა და ღვთაებრივ ძალებს შორის არსებობს.

ქართულ წინაქრისტიანულ წარმოდგენებში, ასეთ ქალღვთაებად ნადირთპატრონი "დალი" გვევლინება. მან, როგორც წარმართული პანთეონის წევრმა, დიდი ევოლუციის გზა გაიარა, რომელიც დაკავშირებულია მამრობით ღვთაება ჯგრაგთან. თავდაპირველად ისინი უნდა ყოფილიყვნენ ტყის არსებათა მფარველი სულები. მოგვიანებით კი მდედრ და მამრ ნადირთპატრონებად გვევლინებიან. ხოლო მას შემდეგ, რაც ასტრალური რელიგია შედარებით აქტუალური გახდა, ნადირთ პატრონები არც მეტი არც ნაკლები ცაზე აიყვანეს და ღამის დიდ მნათობებს და მთიებს დაუკავშირეს. პირველი-ჯგრაგს, ეს უკანასკნელი კი -დალს.

ცისკრის ვარსკვლავი დალის ასტრალურ ჰიპოტასად გვევლინება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ განვითარებული ასტრალური რელიგიების პერიოდში გამოიკვეთა მზის ქალღვთაების მთავარი იპოტასის, დიდი დედის, ნანას კულტი, რომელიც თავის თავში აერთიანებდა მზის, მიწის ნაყოფიერების და ცისკრის ვარსკვლავის კულტებს. ამას გვიდასტურებს მისი ატრიბუტები: ირემი,ჯიხვი, თევზი, ლომი,ფრინველები და სხვა.

ნანას კულტი სიცოცხლის ხესთანაც ავლენს კავშირს, რომლის ირგვლივაც განლაგებულია მზის, მთვარის და სხვა ციურ სხეულთა სიმბოლოები.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები.

პირველ რიგში, დედაბოძის დეკორის ''ვარდული" შეგვიძლია მივიჩნიოთ ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლოდ, რომელიც წარმოადგენდა ნაყოფიერების ქალღმერთის ასტრალურ გამოვლინებას. დაკვირვების საფუძველზე აშკარა ხდება, რომ ქალღვთაების კულტი ადრესამიწათმოქმედო ხანაში აღმოცენდა.

დედაბოძის ვარსკვლავის სიმბოლიკის ამოხსნის საშუალებას გვაძლევს ხალხური ხელოვნების სხვადასხვა დარგში აღმოჩენილი ნიმუშები. ეს იქნება არქეოლოგიური მასალა თუ ფოლკლორული მონაცემები.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ქალღმერთ დალის კავშირი დედაბოძის ორნამენტულ სიმბოლოსთან. როგორც უკვე გაირკვა, იგი კავშირს ავლენს წარმოდგენებთან ბუნების აღორძინებაზე, ამიტომ ადვილი სავარაუდოა, რომ თავის დროზე, მცირე "ვარდული" ცისკრის ვარსკვლავს, შესაბამისად, ქალღვთაება დალს განასახიერებდა.

თავი II

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება წმინდა გიორგისა და მთვარის ღვთაების კავშირის შესახებ

საკითხის კვლევისას, ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში უზენაესი ღვთაების ადგილს სწორედ წმინდა გიორგი იკავებს. ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით, ძირითად შემთხვევებში, იგი შემოქმედ ღმერთზე წინ დგას. მისი სახელობისაა ყველაზე მეტი ეკლესია საქართველოში. ხალხში გავრცელებული თქმულებების მიხედვით, იმდენი ეკლესიაა აგებული წმინდა გიორგის სახელობაზე, რამდენი დღეცაა წელიწადში.

ამ შემთხვევაში, ჩემი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ხალხური წარმოდგენები წმინდა გიორგის შესახებ, რადგან როგორც ივანე ჯავახიშვილის კვლევების საფუძველზე ირკვევა, წმინდანმა ქართველთა წარმართი ღვთაების- მთვარის ადგილი დაიკავა.

ივანე ჯავახიშვილი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ამ საკითხს. მისი უკეთ გასარკვევის მიზნით, მოაქვს ამონარიდი სტრაბონის ,,გეოგრაფიიდან", რომლის მიხედვით, ალბანელები ისეთივე თაყვანს სცემდნენ მზესა და მთვარეს, როგორც ღმერთებს. მნათობის ტაძარი მდებარეობდა იბერიის მახლობლად.

სტრაბონს აღწერილი აქვს მსხვერპლად შეწირვის რიტუალიც, რომლის დროსაც ადამიანი იწირებოდა ზვარაკად: ერთი ადამიანი, რომელსაც ლახვარი აბარია, მიდის მსხვერპლთან და გულში სცემს იარაღს. მიწაზე დაცემულ გვამის მიხედვით ქურუმები მკითხაობას იწყებენ. ამის შემდგომ სხეულს ათავსებენ ერთ დანიშნულ ადგილას და განწმენდის მიზნით, ყველა ფეხს ადგამს ზედ.

,,გეოგრაფიის" მიხედვით, ალბანეთის ერთი ნაწილი კერძოდ კი იბერიის მოსაზღვრე ადგილი ქართველი ხალხით იყო დასახლებული. ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ზემოთ ნახსენები მთვარის ტაძარი, რომელიც იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შესაძლოა კახეთში არსებულიყო . იგი აუცილებლად იქნებოდა

მთავარი ტაძარი, განთქმული და განსაკუთრებული რადგან შეუძლებელია მხოლოდ ერთი მთავარი ღვთაების ტაძარი არსებულიყო მთელ ალბანიაში.

მეცნიერი სტრაბონის მიერ აღწერილ რიტუალს სოფელ აწყურში 14 აგვისტოს ჩატარებულ თეთრ-გიორგობას ადარებს: *,,საღამოთი ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიყიდან, თუშ-ფშავხევსურეთიდან დიდძალი მლოცავი მოიყრის ხოლმე თავს. მოსული ხალხი ჯერ ეკლესიის გალავანს გარს შემოუვლის ხოლმე სამგზის, ან არა და შვიდგზის: მარჯვნივ დასავლეთის კარებიდან იწყებენ სიარულს და მარცხნივ მიდიან, სანამ ისევ იმ კარებს არ მიადგებიან. ასე სამჯერ ან შვიდჯერ. წინ მუდამ დედა-კაცები მიუძღვიან, მათ მამაკაცთა გუნდი მისდევს. ორივე გუნდი "დიდებას" გალობს ხოლმე რიგ-რიგად, ხან დედაკაცთა გუნდი, ხან მამაკაცთა გუნდი: "დიდება და ღმერთსა დიდება, წმიდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო", საღამოს ზარს დაარისხებენ თუ არა, ხალხი ეკლესიისაკენ გაეშურება ხოლმე. ამ დროს ერთი თეთრი-გიორგის მონათაგანი დაეცემა ეკლესიის დასავლეთის კარის გჭესთან თავით ჩრდილოეთისაკენ, ისე რომ საყდარში შესვლა არ შეიძლებოდეს, თუ რომ კაცი ან ზედ არ გადააბოტებს, ან ზედ არ შესდგება. მღვდელმა და ხალხმა მონაზე უნდა გადაიაროს; რაც უნდა ძალიან დაადგან ფეხი, იგი მაინც ცდილობს კრინტი არ დასძრას. ეკლესიას რომ შემოუვლიან, გალავანში შეკრებილი ხალხი ქუდმოხდილი ირგვლივ დგას და მოწიწებით ერთ-ერთს თეთრებში შემოსილს მოთამაშე მონა ქალს შესცქერის. მოცეკვავე შეუწყვეტლივ, გატაცებით უვლის. იგი თეთრი-გიორგის ხატის მონაა და ხატი აცეკვავებს. დროგამოშვებით ქალს გულიდან გმინვა ამოუვარდება ხოლმე და იკრუნჩხება.*

ეკლესიასთან შეკრებილი ხალხი, რომელსაც აღთქმა აქვს დადებული, შეწირული ცხვრებითურთ მღვდელს გარშემო ეხვევა. მღვდელი საღმრთოს შუბლზე მატყლს შესტრუსავს ხოლმე და თითონაც შემდეგ ლოცვას ამბობს: "წმიდაო გიორგი, შეიწირე საღმთო მონისა შენისაო" და სახელს დაუმატებს; იქვე დიაკვანიცა დგას: დიაკვანთან მლოცავები მივლენ ხოლმე, ყელზე შანა აქვთ შებმული და წმიდა გიორგის მონებად ითვლებიან; მათ განსაზღვრული ვადით აღთქმა აქვთ დადებული. როცა ვადა გაივლის, მონები ხატის კარზე მიდიან სალოცავად და მონობის ასახდელად. დიაკვანი იმათ საღმრთოს მატყლს შეაჭრის, მონებს შანას შეჰხსნის და განათავისუფლებს ხოლმე.

თეთრ ტანისამოსში მონა ქალები ამ დროს საყდარს ჩოქვით გარშემო უვლიან. თითოს მათგანს კისერზე თეთრი გიორგის ეკლესიის მძიმე რკინის ჯაჭვი ადევს და ყველანი ნაზის ხმითა გალობენ და თანაც ანთებულ სანთლებს კედლებზე აკრავენ. ერთი მათგანი ბამბის ძაფს ახვევს კვირისტავით ეკლესიის გარშემო. ეკლესიის მიდამოში მთელი ღამე ცეცხლი ანთია". [ჯავახიშვილი-ქართველი ერის იტორია გვ52, პალიტრა L, 2012წ.ტ1]

მიუხედავად იმისა, რომ სტრაბონის მიერ აღწერილი მთვარის დღესასწაულის შემდგომ საუკუნეები გავიდა, იგი საოცარ მსგავსებას ავლენს გიორგობის დღესასწაულის რიტუალებთან. მაგ: ქრისტეს შობამდე მთვარის მსხვერპლად არჩეულს ერთი წლის განმავლობაში ყელზე ჯაჭვი ჰქონდა შებმული და ძლიერად კვებავდნენ. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, თეთრი გიორგის ეკლესიის კარზე რკინის ჯაჭვები ჰკიდია. მას მონები კისერზე იდებდნენ და აქეთ-იქით ჩამოშვებული, ნელი ნაბიჯით ანდა ჩოქვით ეკლესიას სამჯერ უვლიან გარს.

მსგავსია ასევე ძირს დაწოლილი მსხვერპლის ელემენტიც. იგი საკუთარი სიკვდილის იმიტაციას აკეთებს რაც წარმართთთა და ქრისტიანთა შემთხვევაშიც იმით მტკიცდება, რომ ძლიერად დაჭერილი ფეხის შემთხვევაშიც კი ხმა არ უნდა ამოიღოს. სწორედ იმიტომ, რომ იგი მკვდარ, შეწირულ მსხვერპლს წარმოადგენს.

განსხვავება ვლინდება იმ დეტალში, რომ მთვარის ტაძრის რიტუალების წამყვან პერსონას ქურუმი წარმოადგენდა, აწყურში გამართულ გიორგობას კი- მღვდელი და მისი დიაკვანი.

მოსაზრებას, რომ თეთრი გიორგის ხატობის ტრადიცია წარმართობის დროინდელი მთვარის დღესასწაულის ნაშთს წარმოადგენს, ადასტურებს კიდევ რამდენიმე ფაქტი:

აუცილებლად უნდა განვიხილოთ დღესასწაულის თარიღი- 14 აგვისტო. ქრისტიანული კალენდრით, 15 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინებაა, მაგრამ აწყურში და საქათველოს კიდევ სხვა მხარეებშიც თეთრ გიორგობას მართავენ. იგი იწყება

მწუხრის დროს. ღამისთევა აუცილებელი რიტუალია, რადგან დღესასწაული მთვარის ხატობას წარმოადგენს და როდისაა მთვარე ყველაზე მძლავრი, თუ არა ღამეს.

ამ მხრივ, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის მომენტი,რომ წარმართული კალენდრის მიხედვით, 14-15 აგვისტო მთვარის აღვსებაა.

ყველაფერი აშკარა ხდება. მიუხედავად ღვთისმშობლის მიძინებისა, 14 აგვისტოს საქართველოს ზოგიერთ მხარეში აღინიშნება თეთრგიორგობის დღესასწაული, თეთრ გიორგის მთვარის ადგილი უკავია და შესაბამისად, დღესასწაული მთვარის ხატობის ადგილასაა.

ივანე ჯავახიშვილს საკითხის უკეთ დასაბუთებისათვის სხვა რეგიონებში ჩატარებული დღეობების მაგალითებიც მოჰყავს.

ქართლში არსებულ საყდარში ინახება მძიმე რკინის ჯაჭვი. ადგილზე მისული მლოცველი კისერზე იდებს ამ ჯაჭვს და ასე უვლის ეკლესიას გარს სამჯერ. რიტუალი კავშირს ავლენს არქაულ დროში მსხვერპლის შეწირვის ჩვეულებასთან.

მთვარის თაყვანისცემის კვალი წმინდა გიორგის ხატობაშია შემონახული დასავლეთ საქართველოშიც.

რაჭაში, სოფელ სორში არსებობს წმინდა გიორგის სახელობის ,,ჯაჭვის მონასტერი“. აღდგომის შემდგომ, მეოთხე კვირას, ორშაბათს სოფელში ხატობა იმართება. სახელწოდებით, ,,ნაციხურობა“. დღესასწაული კვირა საღამოს იწყება, ვახშმობის დროს. მოსახლეობა ლოცულობს წმინდა გიორგის ხატის წინაშე, რომელსაც ეკლესიიდან მღვდელი გამოასვენებს ხოლმე. პარაკლისის გადახდის შემდგომ, მოსახლეობა იწყებს ზეიმს. დღესასწაულის მონაწილე ხალხი ებმება საერთო ფერხულში და ცეკვითა და სიმღერით ათენებენ ღამეს.

მთვარის ხატობის მსგავსად, ნაციხურობასაც უქმედ ატარებენ ღამეს, რადგან მთვარის მსახურება და თაყვანისცემა მხოლოდ ღამითაა შესაძლებელი.

ნაციხურობის შემდგომ, აღინიშნება მისი სამი სწორი. თავად ნაციხურობა უნდა იყოს ახალი მთვარის თაყვანისცემის ნაშთი, პირველი, მეორე და მესამე სწორი კი მთვარის პირველი, მეორე და უკანასკნელი მეოთხედის უქმეა.

მსგავსად თავისა, მისი სწორებიც აღინიშნება მხოლოდ კვირა ღამეს და ორშაბათს.

აუცილებლად უნდა შევეხოთ წინასწარმეტყველებას, ქადაგად დაცემას. იგი წარმართთა მიერ ჩატარებული მთვარის დღესასწაულის რიტუალის განუყრელი ნაწილი იყო. ხალხი მას სწორედ მნათობის გავლენას მიაწერდა. როგორც ჩანს, ასე გაგრძელდა მოგვიანო პერიოდშიც, რაზეც მეტყველებს ის მეგრული სიტყვები, რომელიც გამოიყენება ადამიანის,ბავშვის ავადმყოფობის დროს და გამოხატავს სიცხიანის მიერ ბოდვას. მაგალითად, ,,თუთაში". ქართულად ითარგმნება, როგორც ,,მთვარის ავადმყოფობა".

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც ამყარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საქართველოში წმინდა გიორგის მთვარის ღვთაების ადგილი უკავია გახლავთ მნათობის სქესი. როგორც ზეპირსიტყვიერი მასალებიდან ჩანს, იგი მამრობითი სქესისაა.

§ 2. 1 კვირის დღეთა განსაზღვრისათვის

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ზემოთ აღწერილ მთვარის ხატობის კიდევ ერთ აუცილებელ ელემენტზე. სიმბოლურია დღესასწაულის ორშაბათს გამართვის აუცილებლობა.

ივანე ჯავახიშვილს კვირის დღეებზე საუბრისას მოაქვს ამონარიდი სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთი წყაროდან: "ქართულად შაბა თისა სახელი არს კრონოსისა, კვირიაკისა — მზისა და საუფლო, ორშაბათისა — მთოვარისა, სამშაბათისა — არიასი, ოთხშაბათისა — ერმისა, ხუთშაბათისა — აფროდიტისა, პარასკევისა — დიოსისა".

აქვე ატარებს იგი პატარა კვლევას და ასკვნის, რომ კვირის დღეთა მწკრივი და მათი სახელები, რომელიც სულხან-საბას ქართულად მიაჩნდა, ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე, წარმართობის დროს არსებობდა ჩვენში, რასაც ამტკიცებს შვიდეულის კრონოსის ანუ სატურნის დღით დაწყება.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, წარმართულ დროში ორშაბათს მთვარის დღე უნდა რქმეოდა. დღემდე სვანურსა და მეგრულ ენებში ორშაბათის სახელწოდება

ქართულად ითარგმნება როგორც ,,მთვარის დღე". (სვანურად- დოდიშ; მეგრულად- თუთაშხა;)

გამომდინარე იქიდან, რომ ქართველების უმთავრეს ღვთაებად მთვარე ითვლებოდა, ამის საფუძველზე ადვილი ასახსნელი ხდება ორშაბათის უქმე დღედ გამოცხადების ფაქტი.

კვირა დღის, როგორც მზის დღის უქმედ გამოცხადებას ერთი ფაქტორი გამორიცხავდა: მზე მთვარის შემდგომ იდგა მნათობთა იერარქიაში და შესაბამისად უქმე დღე სწორედ ამ უკანასკნელს ერგო.

ორშაბათობით უქმობა გვიანობამდე იყო შემორჩენილი საქართველოს ზოგიერთ რეგიონში. მაგალითად, ხევსურეთში შაბათ-კვირასთან ერთად ორშაბათობითაც უქმობდნენ. ქართლში კი აღდგომის შემდგომ, მკის გათავებამდე არცერთ ორშაბათს არ მუშაობდნენ.

თავი III

მზის სიმბოლიკა ამირანის ეპოსში

ქართულ მნათობთა სიმბოლიკაზე საუბრისას საგულისხმოა ქართული ხალხური თქმულება ამირანზე. იგი საკმაოდ ადრეულ ეპოქაშია შექმნილი. ვარიანტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზოგი მათგანი ქრისტიანობის, მაჰმადიანობის ანდა სპარსულ-არაბული კულტური გავლენას განიცდის.

მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, თქმულების ყველა ვარიანტის გაცნობის შემდგომ ადვილი წარმოსადგენია მისი პირვანდელი სახე. ადვილად აღსაქმელი ხდება გმირთა თავისებურებანი და ეპოსში გაბნეული მთელი რიგი სიმბოლოები.

ამირანის ეპოსი გავრცელებულია მთელ საქართველოში. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის ერთიანი სურათი, რომელიც ხალხში მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებით არსებობდა.

პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ თქმულების მთავარი გმირი ამირანი. სწორედ მის ირგვლივ ტრიალებს ეპოსის სიუჟეტი, რაც თავიდან ბოლომდე გმირის განსაკუთრებულობიდან გამომდინარეობს.

ეპოსის წარმოშობაზე საუბრისას მეცნიერი ნიკო მარი შედარებით კვლევას ატარებს ბერძნულ პრომეთეს მითსა და ქართულ ამირანის ეპოსს შორის. აქ რამდენიმე საგულისხმო ფაქტი იკვეთება. იგი თვლის, რომ პრომეთეს მითი კავკასიური წარმოშობისაა და რომ ადგილობრივმა იაფეტურმა კულტის შემცველმა თქმულებამ საბერძნეთამდე ჩააღწია და ამ უკანასკნელს შეესისხლხორცა. (ჩიქოვანი.მ მიჯაჭვული ამირანი.გვ 17)

მეცნიერის მოსაზრებით, საქართველოში სიუჟეტი საკმაოდ შეცვლილია ზემოთ დასახელებული სხვადასხვა გავლენის გამო. თუმცა, აშკარაა, რომ იგი დანამდვილებით უძველესი თქმულებაა ღვთაება მზის შესახებ, რომელიც გმირადაა გადაქცეული. აქვე უნდა განიმარტოს ამირანის სახელის კავშირი მზესთან: A-mara ანუ A-mer არის მზის აფხაზური სახელწოდება.

ის ფაქტი, რომ ამირანის აფხაზურ ორეულს აბრსკილი ეწოდება, სულაც არ უშლის ხელს ნიკო მარს კვლავ დაინახოს კავშირი მთავარ გმირსა ციურ მნათობს შორის: A-bar-skil. bar ნიშნავს ,,ცის", skil ჭანურად- ,,შვილი". აქედან გამომდინარე, bar-skil ნიშნავს ,,მზის შვილს".

ნიკო მარი დარწმუნებულია ამირანის იაფეტურ წარმოშობაში. მისი წარმოდგენით, ამირანი გმირად გადაქცეული მზეა და მჭედლობის კულტთანაა დაკავშირებული.

ამირანის ეპოსის წარმოქმნასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები აქვთ ივ. ჯავახიშვილს, აკ. წერეთელს, კ. კეკელიძეს, ალ. ხახანაშვილს, ალ. ბარამიძეს და სხვებს, თუმცა საკვლევი მასალიდან გამომდინარე, საკითხთან ყველაზე ახლოს ნიკო მარის მოსაზრება აღმოჩნდა.(ჩიქოვანი.მ მიჯაჭვული ამირანი.გვ 17)

რაც შეეხება უშუალოდ მთავარ გმირს, ამირანს, იგი განსაკუთრებული არსებაა თავისი უკვდავებითა და უდიდესი ფიზიკური შესაძლებლობებით. წარმოადგენს საშუალ არსებას ადამანებსა და ღმერთებს შორის.

ყველაზე გავრცელებული ვარიანტების მიხედვით, ამირანი ნადირთპატრონ დალისა და მონადირის შვილია. ერთ-ერთ სვანურ თქმულებაში ახლად დაბადებული ყრმა ამირანი მზესთანაა შედარებული: ,,სვანური თქმულებით, დალმა მონადირეს ანდერძ დაუტოვა: პატარა ყრმა აკვნით იამანის წყაროსთან დასვიო. მზის მსგავსი ვაჟი წყაროსთან ნათლიასაც და აღმზრდელსაც იპოვის."

გარდა ამ მომენტისა, ამირანი სხვაგვარადაც ავლენს კავშირს მნათობთან. გმირს თავს დაესხა ბაყბაყ-დევის თავიდან ამოსული სამი გველეშაპი. წითელი და თეთრი

ადვილად დაამარცხა, შავს ვეღარ მოერია და მის მუცელში აღმოჩნდა. გმირმა თავისი მუდმივი თანამგზავრი ალმასის (ზოგი ვარიანტის მიხედვით ოქროს) დანის საშუალებით გააღწია გარეთ.

შავი გველეშაპი ცნობილია, როგორც სიცოცხლის, სინათლისა და მზის მტერი. ხალხური წარმოდგენების მიხედვით, პრიოდულად იგი ყლაპავს მზეს და სწორედ ამიტომ გვიბნელდება დედამიწაზე.

სვანი ხალხის წარმოდგენით, მზე გველეშაპის მუცლიდან ამირანის მოწყობილი გზით აღწევს. მნათობი წვავს გმირის მიერ გველეშაპის გვერდის მაგივრად ჩადგმულ ჩელტს და ასე მოიპოვებს თავისუფლებას.

როგორც ჩანს, პრიმიტიულ ხანაში გავრცელებულმა მითმა მხატვრული ფორმა მიიღო და ამირანის ეპოსს შეუერთდა.

თქმულებაში გაიგივებულია გმირი და მნათობი. გველეშაპის მუცელში ხან ერთი აღმოჩნდება, ხან მეორე. ეს მომენტი ერთგვარად ამართლებს ნიკო მარის მოსაზრებას ამირან- აბრსკილისა და ,,მზის შვილის" იგივეობაზე.

ამირანის ეპოსში გველეშაპის ადგილს ზოგჯერ მეორე ანტაგონისტი, დევი იკავებს. ხალხური წარმოდგენების თანახმად, სწორედ ეს უკანასკნელი ყლაპავს მნათობს, რაც მზის დაბნელების მიზეზი ხდება. ზოგჯერ, თავად ამირანს ყლაპავს დევი. გმირი კი ცნობილი გზით, ოქროს დანით გვერდის გამოჭრით აღწევს თავს ტყვეობას. იგი ამით გზას უკაფავს შემდგომში დატყვევებულ მზესაც.

ჩემი აზრით, თქმულების ამ მონაკვეთში სიმბოლური დატვირთვა შეგვიძლია მივანიჭოთ დანას, რომლითაც ამირანი გველეშაპის ანდა დევის მუცელს ჭრის. იგი ალმასის ან ოქროსია.

,,ამირანს ჯიბეში ოქროს დანა ჰქონდა, ამოიღო, გასჭრა გველეშაპის მუცელი და გამოვიდა გარეთ".

ოქროს დანა ფიგურირებს ეპოსის სხვა გმირებთანაც.

კახეთში, სოფელ იყალთოში ჩაწერილი თქმულების მიხედვით, ამირანი ნადირთპატრონ დალის შვილია. ქალღმერთს ბავშვის გაჩენაში სულკალმახი ეხმარება: ,, სულკალმახს ოქროს დანა ედვა ჯიბეში. გასჭრა ქალი და ამოარიდა ბავშვი".

მთავარი გმირის, ამირანის დახასიათებისას, გარდა მისი არამიწიერი უნარ-ჩვევებისა, ხაზგასმულია ორი ფიზიკური ნიშან-თვისება. ესენია საცერივით თვალები და ოქრის კბილი.

თუ გავიხსენებთ ფარნავაზის სიზმარს, ოქრო სიმბოლურ კავშირს ავლენს მზესთან. ვფიქრობ, აქაც იგივე სიმბოლური პარალელის გავლება შეგვიძლია ოქროს დანასა და ასტრალურ მნათობს შორის, როგორც ეს მაგალითად მოხმობილ მითოლოგიურ გადმოცემაშია. მზესთან კავშირს ავლენს ამირანის სატრფო ყამარი[1]. გარდა იმისა, რომ ეპოსის ვარიანტებში იგი მზისა და მთვარის უნახავ ქალადაა

მოხსენიებული, ქართლში, სოფელ ერთაწმინდაში ჩაწერილ ლექსში მას ამომავალ მზეს უწოდებენ:

„...ამირან- დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,

დასცა და მხარი მოსტეხა, ადგილი დახვდა ქვიანი.

- მაცა ამირან, ნუ მამკლამ, მაცალე პატარა ხანი,

წყალ- გაღმა ქალსა გასწავლი, ამომავალი მზე არი,

რაც კაცი იმას არ ნახავს, მისი სიცოცხლე რა არი“.

[1] თქმულების თანახმად, ყამარის მამა ქაჯების ბატონია. მისი არმიაც სწორედ ქაჯებისა და ეშმაკებისგან შედგება. ზოგი ვარიანტის მიხედვით, ლაშქარი საწვიმრად დატოვებული ღრუბლებია. მათი დაძვრა ყოველთვის ცუდ ამინდს, ქარს, გრიგალს და წვიმას იწვევს. ,,წამოეწიათ ღუბელი, ამირანმა ჰკითხა ყამარს: ქალო ეს რა ღრუბელია? ეს მამაჩემის ჯარი წამოვიდა და იმის ჩრდილიაო... გაიარა ცოტა ხანმა და წამოეწიათ წინწკალი. ქალო, ეს რაღა წინწკალია? მამიჩემის ჯარი ზღვას გადმოვიდა და იმათი ფეხის ნამია"(მოსე ხონელი.,,ამირანდარეჯანიანი".1896წ)

ეს მომენტი არც ისე უჩვეულოა, რადგან ქართულ ხალხურ სატრფიალო პოეზიაში ხშირად ვხვდებით სასიყვარულო ობიექტის მზესთან, მთვარესთან და ა.შ. შედარებას.

გარდა ამისა, თქმულების მიხედვით, ყამარის საცხოვრებელი ადგილი დედამიწასა და ვარსკვლავებს შორის ჯაჭვითაა ცაზე ჩამოკიდებული. მისი დედ- მამა კი ცაში არიან.

ამირანის ეპოსის საინტერესო ვარიანტი ინახება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. ამ ვარიანტის მიხედვით მზე მთავარი გმირის ნათლიად გვევლინება (ფაუფ0680 გვ3, ID24585)

სიუჟეტის მიხედვით, ღარიბ ცოლ-ქმარს ვაჟი შეეძინათ. მონათვლა სურდათ, მაგრამ პურიც კი არ ქონდათ ვინმესთვის შეეთავაზებინათ. ეს რომ მზემ დაინახა, ჩამოვიდა ძირს და თავად მოუნათლა ყრმა. სახელად ამირანი დაარქვა. პატარას ერთი ხმალი დაანათლა, რომელიც მასთან ერთად იზრდებოდა.

ამ ზღაპრის მიხედვით, ცხოვრების სხვა საფეხურებზე მაგ. დევთან ან გველეშაპთან ბრძოლაში, ქალის მოტაცების დროს მზე აღარ გამოჩენილა. იგი მხოლოდ დასაწყისში ჩანს, ერთადერთი ფუნქციით-ნათლიაობით.

მზისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, მნათობისადმი თაყვანისცემაზე მეტყველებს თმულების ვარიანტებში გავრცელებული დაფიცების ერთგვარი ფორმულები:

,,ბადრისა მზემან, ამირან, შენ ბადრს ვერ ედარები;

ვერც ღონით, ვერცა ჭამითა, ვერცა ომში დეედარები".

,,ბადრისა მზემა ამირან, შენ ბადრს ვერ დაედარები,

ცოცხალი გჯობდა ცოცხალსა, მკვდარსაც ვერ დაედარები".

,,- ნუ ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისა,

გამოდი და გამოხურე საყდარი და კარი მისა,

თორემ გმირნი დაგვზრახავენ, მკვდარი გაუძარცვავ სხვისა!"

მზის დაფიცება იგივეა, როგორც დაფიცება თვალის სინათლის ანდა სიცოცხლის. როდესაც ამბრის დედა ანდა თავად ბადრი და უსუფი ძმათა მზეს აფიცებენ ამირანს, ფაქტობრივად აფიცებენ მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების სიცოცხლეს. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მზე ყველა სიკეთესთან ერთად სიცოცხლის სიმბოლოცაა.

თავი IV

ნაწილიანობა

ასტრალური ღვთაებები შეიძლება ვლინდებოდნენ ,,წილის" სახით. ნაწილი შეიძლება ჰქონდეს როგორც ადამიანს, ისე ცხოველს. მისი მატარებელი არსებები ,,ნაწილიანებად" იწოდებიან.

ხალხური წარმოდგენების მიხედვით, ნაწილიანობა პირდაპირ კავშირს ავლენს ღვთიურ ძალებთან. ნაწილიანი გმირები, ასე ვთქვათ, წილდებულნი არიან ღვთიურ საწყისებთან.

ნაწილი არსებას დედის მუცლიდანვე დაჰყვება. ადამიანების შემთხვევაში იგი ბეჭებს შუაა გამოსახული მზის ან მთვარის სახით.

ჩვილის ნაწილიანობის აღმოჩენისთანავე უნდა გასაიდუმლოვდეს ეს საკითხი. ერთმანეთსაც კი არ უნდა გაუმხილონ მშობლებმა. უცხო პირის მიერ ნიშნის დანახვა კი, გმირისათვის ავის მომასწავლებელია.

ნაწილით აღბეჭდილი ღვთაებების რჩეული ადამიანები საერთო მასისგან განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევიან. ასეთები იყვნენ ხალხური გმირები: ბადრი, უსიპი, თორღვა და სხვანი.

ამირანის ეპოსის მთავარი გმირები ბადრი და უსიპი, ბეჭებით წილის ნიშნებს ატარებენ.

ბადრის ფაქიზი გარეგნობა აქვს, ნაზია. მისი ფერი თეთრია. ბეჭებზე მთვარის ნიშანი აქვს გამოსახული.

უსიპი ბრძოლისუნარიანი, ცოცხალი ადამიანია. მისი ფერი წითელია. ბეჭებით კი მზის ნიშანს ატარებს.

ცალკე საკითხია ამირანისა და ამ ორი ძმის ნათესაობა, რომელიც ვარიანტების მიხედვით სხვადასხვაგვარადაა წარმოჩენილი, თუმცა ვფიქრობ, ამას კავშირი არ უნდა

ქონდეს მათ ნაწილიანობასთან. თუ რატომ არის ბადრი მთვარის რჩეული და უსიპი-მზის.

არქაულ პერიოდში, ასეთი შემთხვევები ნორმად ითვლებოდა, რადგან ერთი არსება მხოლოდ ერთი ტოტემის, ხატის და ა.შ მფარველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

ამ ელემენტში ახალი არის მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბადრი, როგორც მამრი არსება, არა წესისამებრ სოლარული ნიშნის მატარებელია, არამედ- მთვარის.

მზესთან კავშირს ამირანიც ავლენს. სვანური თქმულების მიხედვით, დალს ,,მზის მსგავსი" ვაჟი ეყოლა. გარდა ამისა, იგი როგორც დალის შვილი ცალკე უკავშირდება ასტრალურ სამყაროს, რადგან ნადირთპატრონის სახემ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ასტრალურ სიმბოლიკაში ჰპოვა ასახვა.

აკაკი შანიძის მიერ, დუშეთში ჩაწერილი ლექსი, თორღვა ძაგანზე, მათ შორის, მის ნაწილიანობაზეც გვიამბობს.

,,დიდებულება დაუთქვას,

ბეჭებს უნახეს ჯვარიო.

მარჯვნივ მზე წერებულიყვა,

მარცხნისკე მთვარის ნალიო".

თორღვა ნაწილიანია. ისევე, როგორც ყველა სახალხო გმირი, ლექსის ვარიანტების მიხედვით, ისიც ობოლია. ეს ყველაფერი მის გამორჩეულობას განსაზღვრავს.

გმირს ნაწილის ნიშნებად მზე და მთვარე აქვს გამოსახული. ეს იშვიათი შემთხვევაა, რადგან როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, არსება მხოლოდ ერთი ღვთაების ან მნათობის მფარველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, მის სხეულზე მხოლოდ ერთი საკრალური ნიშანი გამოისახებოდა.

ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს წარმოდგენათა სისტემის ცვლილებასთან. პირველ რიგში, ამაზე მეტყველებს ორივე მნათობის გამოსახულება ნაწილიანის ბეჭებზე. გარდა ამისა, უკვე შემოსულია ჯვრის სიმბოლო, რომელიც, ქრისტიანული რელიგიის

გამომხატველია. ლექსში აღწერილ სურათში უკვე აშკარად ვხვდებით მოგვიანო პერიოდის რწმენა-წარმოდგენების კომბინაციას.

თავი V

მნათობთა სქესის განსაზღვრისათვის

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ზღაპრები იქნება ეს ლექსები თუ გამოცანები, საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველთა წარმართულ პანთეონზე. შესაძლებლობა გვეძლევა გამოვარკვიოთ მნათობთა სქესის შესახებ არსებული წარმოდგენები. მასალის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კვლევებმა არაერთგვაროვანი შედეგი აჩვენა.

ივანე ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში ,,ქართველი ერის ისტორია“ მთელი თავი მიუძღვნა ქართველთა წარმართული პანთეონის აღწერას. მეცნიერმა მნათობთა სქესისა და ურთიერთმიმართების საკითხის გამოსაკვლევად ზეპირსიტყვიერი მასალები შეისწავლა. დაკვირვების შედეგად, ძირითად ასტრალურ წყვილად მზე და მთვარე გამოიკვეთა. ვარიანტების მიხედვით, მზე ხან დედაა მთვარისა, ხან მეუღლე და ხანაც და.

წყვილის სქესის განსაზღვრისათვის ივანე ჯავახიშვილს მაგალითად მოჰყავს ცნობილი ხალხური ლექსი :

"ნათელმა მთვარემა ბრძანა

ბევრით მე ვჯობივარ მზესა".

დაჯდა, დასწერა წიგნები,

ზენა ქარი მიათრევსა.

მზეს რომ კაცი მიუვიდა,

მზე ძალიან გაჯავრდესა:

"მე და ვარ და ის ძმა არის"

რად ვძულდებით ერთმანეთსა".

ამ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი გამოსცა და კომენტარები დაურთო ვახტანგ კოტეტიშვილმა წიგნში ,,ხალხური პოეზია“. იგი მნათობთა სქესის საკითხს სადავოდ მიიჩნევს და ამის დასადასტურებლად უამრავი მაგალითი მოჰყავს ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან.

პირველ რიგში, იგი განიხილავს ისეთ ვარიანტებს, სადაც ორივე მზეცა და მთვარეც მდედრობითი ან მამრობითი სქესის წარმომადგენლებად გვევლინებიან:

თედო რაზიკაშვილის მიერ გამოქვეყნებული ზღაპრის, ,,მზის ქალის“ მიხედვით, მთავარ გმირს მზის სამი ქალიშვილიდან ერთ-ერთი ცოლად ჰყავს. იგი მზესთან წავა ოქროს ერკემლის მოსაყვანად. ზეცაში ასულს, მთვარე დახვდება, იცნობს და დედას ახარებს ჩვენი სიძე მოვიდაო. ბიჭი გააფრთხილეს, მზე როცა მოვა ვერ გაუძლებ მის სინათლესა და მცხუნვარებას, ჯობია დაგმალოთო. გადააქცია იგი მთვარემ ნემსად და ბოძში შეარჭო. ...და სხვა.

ამ ზღაპარში ჩვენთვის მთავარი საანალიზო საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მასში მნათობთა სქესი უშუალოდ მითითებული არაა, თუმცა სიუჟეტის მიხედვით აშკარაა, რომ მზეცა და მთვარეც ვაჟები არიან.

სპეციფიკურია ზღაპარი ,,შავი თეიმურაზი, მზე თეიმურაზი და მთვარე თეიმურაზი“. მსგავსად ზრაპრისა ,,მზის ქალი“ აქაც შავი ცხენისგან ნაშობი ვაჟი, შავი თეიმურაზი დაინტერესდა როგორ ცხოვრობდნენ სხვა ადამიანები და გაუდგა გზას. შემოხვდა მზე თეიმურაზი,რომელმაც დაძმობილება სთხოვა. გმირები დაძმობილდნენ. გზაში შემოეყარათ მთვარე თეიმურაზი და ისიც დაიძმობილეს.

სამმა ძმამ განიზრახა სამი დევის შვილების ცოლად შერთვა. მაგრამ ისინი არც ისე ადვილად მოსაპოვებლები იყვნენ, რადგან ქვესკნელში ცხოვრობდნენ. მთვარე თეიმურაზს და მზე თეიმურაზს გაუჭირდათ მიწისქვეშეთში ჩასვლა, სიცხის გამო. მხოლოდ შავმა თეიმურაზმა შეძლო იქ მოხვედრა.

მიაღწია მან სამივე მზეთუნახავამდე, დახოცა დევები და ცოლად მიჰგვარა ქალები ძმებს. გმირმა არ მოუსმინა თავის საცოლეს და ჯერ ის აუშვა თოკით ზემოთ. ძმებმა უღალატეს შავ თეიმურაზს და ძირს დატოვეს. თუმცა, მან თავი იჩინა თავისი

გმირობით. ხელმწიფის კარზეც კი მოხვდა და სწორედ მისი დახმარებით დაბრუნდა სკნელში. შეირთო ცოლი და დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.

იმ შემთხვევის განსახილველად, როდესაც ორივე მნათობი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ვახტანგ კოტეტიშვილის მაგალითად მოჰყავს ქართული ხალხური ზღაპარი ,,სიზმარა“.

იგივე სახელწოდების მატარებელი(სიზმარა), ზღაპრის მთავარი გმირი, სიზმრად ასეთ სურათს ნახავს: ,, მზე იქით მედგა, მთვარე აქეთა, შუქურვარსკვლავი ხელ- პირს მაბანინებდაო“. სიზმრად ნანახი კი ასე აუსრულდა: მზე და მთვარე მისი ცოლები იყვნენ, შუქურვარსკვლავი კი მისი ოქროსქოჩრიანი შვილი.

აქვე შემოდის მნათობთა სქესის ვარიანტულობის ახსნა: ,, ხშირად, ერთი და იგივე მოდგმა მზეს თუ მთვარეს ქალადაც წარმოიდგენს და ვაჟადაც. როგორც ვნახეთ, ჩვენშიც ასეთივე სურათი იშლება. საკითხავია: რა არის ამის მიზეზი? ქცევადობა ხომ არაა, რასაც ზღაპრებში უდიდესი ადგილი ეთმობა? ეს ქცევადობა ბაბილონურ ასტროლოგიას ასე ეჩვენებოდა: ,, როდესაც მარდუკის ვარკვლავი (იუპიტერი) იმყოფება აღმავალ მდგომარეობაში (ე.ი. დაბლა არის, ჰორიზონტის თავზე, მაშინ ის არის ნებო (მერკური)); თუ იგი სდგას ორმაგი საათის სიმარლეზე (რიცხვი დაფაზე მოტეხილია), მაშინ ის არის მარდუკი (იუპიტერი); როდესაც შუა ცაზე იმყოფება (კულმინაცია), ის არის ნიბურუ (ე.ი. გავლა, ზენიტს გამავალი ღვთაება. ღვთაება უზენაესი და ყოვლის გამგე: კულიმინაციის დროს ყოველი პლანეტი ამ ღვთაებად იქცევა)“ . ამ ტექსტის შესახებ, ეს დიდი პან-ბაბლონისტი მეცნიერი ჰიუგო ვინკლერი სწერს: ,,ეს ტექსტი, რომლის გასაგებადაც დიდი ხნის განმავლობაში თავს ამაოდ იმტვრევდნენ, ნათელი ჰხდება, რა წამს შეითვისებ ძირითად იდეას, რომ ღვთაება თვით მნთობი კი არ არის, არამედ მნათობის უკან არის. შემდეგ, ამავე ტექსტში არის ყოველგვარი ასტროლოგიის ის ძირითადი იდეა, რომ ყოველი ვარსკვლავი, და უპირველეს ყოვლისა მოძრავი ვარსკვლავი, პლანეტი, თავის გავლენას , ე.ი. თავის ღვთაებრივ ძალას ქვეყანაზე გავლენის მოსახდენად იღებს თავისი ,,მდგომარეობისაგან“. თუ ამ დიდი მეცნიერის მოსაზრებას დავემყარებით, ეს ბუნდოვანი საკითხი მზისა და მთვარის სქესის შესახებ, მათი ხან ქალად ხან ვაჟად წარმოდგენა, სავსებით ნათელი ჰხდება. ამ ნიადაგზე

ნათელი ხდება ის ჰერმაფროდიტიზმიც ანუ ,,ქალა- ბიჭობა“, რომელსაც ძველ პანთეონში ვხვდებით. იშთარი მესოპოტამიაში ქალა-ბიჭა არის, წვერიანია პალესტინაში, მკის ღვთაება Rnut-ი ორსქესიანი, ბერძნული ჰერმ-აფროდიტეც (Herm'es Aphrodite); ასეთივეა რომაელების ვენური (ვენერა- წვერიანი), ქალ- ვაჟური ბუნება აქვს აპოლოსაც: აპოლო მუსაგეტი, აპოლო საუროქტონი, ამიკლეს აპალო (ანტიკური მედალი), აპოლო ანტიკურ ბარელიეფზე დიანასა და ლატონთან ერტად- სულ ქალის ფორმებიანი ან ქალურად ჩაცმულები არიან. საგულისხმოა პლატონის ,,ნადიმობაში“ არისტოფანეს სიტყვები: ,,უწინ ბუნება სხვანაირი იყო: თავდაპირველად ხალხი სამ გვარი იყო, ისე კი არა, როგორც ეხლა, ვაჟები და ქალები, არამედ იყო მესამე გვარიც, საერთო მათ შორის. ეს გვარი ორსქესიანი იყო... იმისგან ეხლა სახელიღა დარჩა, და ეს სახელი საგინებლად იქცაო... ეს სამი გვარი ასეთი იმიტომ იყო, რომ კაცები მზისგან წარმოიშვნენ, ქალები მიწისაგან, ორსქესიანნი კი მთვარისაგან, რადგან მთვარე ორსქესიანიაო... ეს ცნობა ამით არის საინტერესო, რომ გვიჩვენებ უძველესი მსოფლმხედველობის ნიშნებს და ერთგვარად ხსნის იმ ქცევადობის მომენტს, რომლის ძალითაც ქალი ვაჟად იქცევა, ვაჟი ქალად. აქვე ეძებნება ახსნა ,,ქალა- ბიჭობის“ საკითხსაც“. (ვახტანგ კოტეტიშვიილ ხალხური პოეზია 1961წ ,,საბჭოთა მწერალი“ თბილისი.)

ციტირებულ ტექსტში მოყვანილი მაგლითების ნიმუშები ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც გვხვდება.

ზღაპარი ,,მზე- მთვარა“ იგივე სახელის მატარებელი ქალის შესახებ მოგვითხრობს. იგი დედის მუხლიდან მატლად გადმოვარდა, შემდეგ ორბმა გაიტაცა და მუხის ძირში გაიზარდა. მთავარი გმირი მამამისმა, მეფემ შეპყრობინა, მაგრამ ხმა ვერ ამოაღებინა. მხოლოდ თავის მომკვდარუნები მიწერ დაიწყო ქალმა ტირილი: ,,უბედური მზე- მთვარეო, შენ რათ დამაობლე მეო; დედას მატლად დავებადე, ორბთ ვიცოცხლე ვიზარდეო, შემდეგ ქაჩალმა შემიპყრო, შვილიშვილად მიშვილეო“.

ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებით, ეს ზღაპარი იმ მხრივაა საგულისხმო, რომ იგი ერთ პირს ორსახოვნად წარმოგვიჩენს. მართალია მისი სქესი დასახელებულია, მაგრამ უჩვეულოა ის ფაქტი, რომ იგი ორივე მნათობის სახელის მატარებელია.

ექსკურსის ბოლოს, ფოლკლორისტი საუბრობს კიდევ ერთ საგულისხმო საკითხზე. ესაა მზისა და მთვარის მუდმივ ურთიერთდაპირისპირებაში ყოფნა. ნუმუშებად მოაქვს ხახლხური გამოცანები და გამოთქმები მნათობთა შესახებ: ,,მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი“ (მზე და მთვარე), ,, ორბი მოჯდა ორასი, ფრთა გაშალა სამასი, ნისკარტი ჰკრა ოთხასი, კლდე გააპო ხუთასი“ (მზე), ,,ერთ ქვეყანას ორთა ძმათა, ორთა ორთავ ერთი ფერი აქვთო, ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო, ერთს ჯარი ჰყავ უთვალავი,, ერთს კი მარტო ტახტი აქო“ (მზე და მთვარე). მართალია უკანასკნელ გამოცანაში ორივე მამრობითი სქესის წარმომადგენლებად გვევლიენბიან, მაგრამ შენარჩუნებულია ერთმანეთთან დაპირისპირების მომენტი.

ქალურ საწყისებთანაა დაკავშირებული მზე ქართული იავნანას ვარიანტებში. მაგ:

,,დაიძინე გენაცვალე, იავ ნანინა,

მზე დაწვა და მთვარე შობა, იავ ნანინა“

აქ მზე და მთვარე ურთიერთ შეპირისპირებულნი არიან. პირველი გვევლინება მელოგინედ, მთვარის მომვლინებლად, ეს უკანასკნელი კი ვაჟი უნდა იყოს.

იავნანას დროთა განმავლობაში პირვანდელი ფუნქცია შეეცვლა და მას ბავშვებს არა მხოლოდ ავადმყოფობის დროს, არამედ ძილის წინაც უმღეროდნენ დედები. უკანასკნელ შემთხვევაში უმღერიან მხოლოდ მელოდიას და ტექსტის დასაწყისს, ხოლო ტექსტის დანარჩენი ნაწილი, რომელიც ,,ბატონებისთვისაა“ განკუთვნილი, აღარ იმღერება.

ამ შემთხვევაში, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მშობელი უკვე არსებულ მელოდიაზე აგებს იმ ტექსტს, რომელიც გონებაში იმ წუთს მოუვა. შესაბამისად, ჰანგზე დართული ტექსტი აბსოლუტურად გამოხატავს მის ფიქრებსა და წარმოდგენებს ამა თუ იმ საკითხზე. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტესწილად ხალხურ წარმოდგენებში მზე მიიჩნეოდა მდედრ არსებად, ხოლო მთვარე- მამრად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხალხური წარმოდგენები მნათობთა სქესსა და უერთიერთმიმართებაზე ცალსახაა არაა. მართალია ძირითად შემთხვევებში მზე მდედრობითი სქესის წარმომადგენელია თუმცა არსებსობს მთელი რიგი ფოლკლორული მასალები, სადაც იგი მამრია.

ერთ-ერთი ხალხური გადმოცემის თანახმად, ღმერთმა მზისა და მთვარის დედებს უთხრა, რომ მათ, ორივეს ვაჟიშვილები ეყოლებოდათ. ერთი დღის მნათობი იქნებოდა, მეორე- ღამის. ეს იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რომელი უფრო ადრე გაიღვიძებდა. მთვარე ეკლიან ლოგინში ჩაწვა, ვერ მოვისვენებ და არ დამეძინებაო. მან მართლაც ვერ მოისვენა მთელ ღამეს, მაგრამ გამთენიისას ჩეძინა. მზე ადრე დაწვა, გამოიძინა და შესაბამისად, ადრიანად გამოეღვიძა.

თქმულების ძირითად სათქმელს, მნათობთა ფუნქციების გადანაწილებასთან დაკავშირებული ისტორიის გადმოცემა წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენ აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ მომენტზე, როდესაც ღმერთი მზისა და მთვარის მშობლებს ვაჟების დაბადებას აუწყებს. როგორც ჩანს, ხალხურ წარმოდგენებში მზე მხოლოდ მდედრ სქესად არ განიხილებოდა.

მსგავსი სიტუაცია გვხვდება ხალხურ ზღაპრებშიც. საკმაოდ ცნობილი ზღაპარი ,,მზის ქალი“ , რომელიც ვაჟა-ფშაველასაც აქვს გამოყენებული თავის პოემაში, ნაბოლარა ძმის შესახებ მოგვითხრობს:

სიუჟეტის მიხედვით, უმცროს ძმას ქონების გაყოფის შემდეგ სამჯერ დაესეტყვა მოსავალი და გადაწყვიტა სხვაგან ეძია ბედი. თავდაპირველად ხელმწიფის ყანაში დაიწყო მუშაობა,მაგრამ მზემ ჩასვლა მოასწრო და დაპირებისამებრ, ფული აღარ აიღო. შემდეგ მეცხვარეს მიეკედლა, სამ წელს გემსახურები და თუ ფარას უკლებლივ ჩაგაბარებ, მხოლოდ მაშინ გადამიხადე საფასურიო, მაგრამ მსახურობის ბოლო დღეს მგელმა გასტაცა ბატკანი. უმცროსი ძმა კვლავ ანაზღაურების გარეშე დარჩა.

იმედგაცრუებულმა წყლის პირს მიაშურა,სადაც სამი ქალი შემოხვდა. აქედან ერთ-ერთი, რომელიც ცოლად შეირთო მზის ასული აღმოჩნდა. მზემ სიძე თავის ადგილას

დააყენა, რითაც საშუალება მიეცა შური ეძია მგელზე და ელიაზე,რომელმაც სეტყვა მოიყვანა მის ადგილებში.

გამარჯვებული უმცროსი ძმა მზის ასულთან ერთად დაბრუნდა სახლში, აიღო ხელმწიფესთან გამომუშავებული თანხა, წამოიყვანა ფარა და დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.

ამ ზღაპარში მზე აშკარად პერსონიფიცირებულია. გააჩნია საკუთარი უფლება-მოვალეობები, რომლებსაც ნათლად ასრულებს. გარდა ამისა, იგი მამრობითი სქესისაა და ასულიც კი ჰყავს, რომელსაც ტრადიციულად, ზღაპრის მთავარ გმირს ატანს ცოლად.

ამ მხრივ, განსხვავებულია ზღაპარი ივანეს შესახებ, რომელმაც ცოლად დედამზისა და მამაზის ასული შეირთო. თავდაპირველად იგი ბაყაყის სახით მოევლინა ქმარს, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, მოგვიანებით, იგი ულამაზეს ქალად გადაიქცა. ივანემ აკრძალვა დაარღვია და ბაყაყის კანი ("ხოკი") დაწვა, რის შემდეგაც ხელმწიფემ დაუპირა ცოლის წართმევა,თუკი მის დავალებებს არ შეასრულებდა.

სწორედ ცოლის მშობლები, დედამზე და მამამზე მოევლინენ მთავარ გმირს დამხმარეებად.

კახეთში ჩაწერილი ზღაპარი, ეთერის თავგადასავალზე მოგვითხრობს.

სახლიდან გაქცეული მთავარი გმირი ცოლად გაჰყვება საყდარში გამოკეტილ მეფის ვაჟს, რომელიც დღისით კვდება და ღამით ცოცხლდება. შვილის გაჩენის შემდეგ, ეთერი გადაწყვეტს წავიდეს მზის დედასთან, რათა მან ასწავლოს როგორ განკურნოს ქმარი. გზად მიმავალ გმირს გადაეყრება გუთნისდედა, მეცხვარე და ბოლოს ირემი,რომლებიც თავიანთი გასაჭირის შესახებ უამბობენ ეთერს და თხოვენ, მათზეც ჰკითხოს რჩევა მზეს.

ზეცაში ასეულ ეთერს, მზის დედა დახმარებას აღუთქვამს და თან დამალავს ჩემმა შვილმა არ გნახოსო. როგორც აღმოჩნდა,მისი ქმრის განსაკურნებლად საჭირო ყოფილა მზის პირის ნაბანში განბანვა. შემწის სახით მოვლენილმა მზის დედამ, შეინახა მზის პირის ნაბანი და სახლში გამოატანა ეთერს.

მზის მიყურადებით დანარჩენი გმირებისთვისაც გაარკვია, რაში იყო მათი საშველი და ისე დაბრუნდა ქვეყანაში.

მართალია ზღაპარში სქეში პირდაპირ არაა მითითებული, თუმცა აშკარაა რომ მნათობი მამრია. თვად მკაცრი ხასიატისაა, მისი შემწე დედისა და ზებუნებრივი ძალების მქონე პირის ნაბანის საშუალებით, იგი სიკეთის შემოქმედია.

ამ და კიდევ სხვა უამრავ მსგავსი ანდა განხვავებული სიუჟეტის ზღაპარში გვევლინება მზე მამრობითი სქესის არსებად. იგი ზეცაში ცხოვრობს, ყოველ დღე გადის სახლიდან რათა დედამიწას სხივი მოჰფინოს, ზოგი ვარიანტის მიხედვით, ასულიც ჰყავს და ა.შ.

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, მზის მდედრობაზე მიუთითებს ქალთა საკუთარი სახელები, რომლებშიც ჩართულია მზის სახელი. ისინი გავრცელებულია მთელ საქართველოში: მზია, მზისა, მზევინარი, მზექალა და ა.შ. ვფიქრობ, აქ გამონაკლისის სახით აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ის სახელი, რომელშიც მთვარის სახელია ჩართული, თუმცა მაინც მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ეძახიან. მაგ: მთვარისა.

ქართული ხალხური ზღაპარი ანანა მზისა და მთვარის შვილისა და მეფის ვაჟის სიყვარულის ისტორიას მოგვითხრობს.იგი სრულდება ლექსით, რომელიც პირდაპირ კავშირს ავლენს სამუშაო თემასთან:

,,მზეო- დედავ, მამავ- მთვარევ,

ვარსკვლავებო, ჩემო მზეო!

ჩამოუშვით ოქროს სკამი,

აღარ არის ხელმწიფეო!

ამ სტროფში იკვეთება ის ტენდენციური შეხედულება, რომელიც მნათობთა სქესზე და ურთიერთმიმართებაზე არსებობდა ხალხურ ცნობიერებაში.

ამ მხრივ, ერთგვარ ეტალონს და აუცილებელ საკვლევ მასალას წარმოადგენს მეგრული ხალხური ლექსი:

,,ბჟა დია ჩქიმი

თუთა მუმა ჩქიმი

ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი

და დო ჯიმა ჩქიმი“

,,მზე დედაა ჩემი,

მთვარე მამაა ჩემი

სხვადასხვა ვარსკვლავები

და და ძმაა ჩემი“

ლექსი აბსოლუტური სიზუსტით გამოხატავს წინარექართველთა მიერ სიმბოლური სტატუსების მინიჭების საკითხს ასტრალურ სხეულებზე. ასეთი იყო მათთვის მიკროკოსმოსი. მიუხედავად გარემოსი, რაც მთავარია, ადამიანს მუდმივად თან ახლდა დედა-მზე, მამა-მთვარე და ვარსკვლავები- მისი დედმამიშვილები. ეს არის კოსმიური ოჯახის სრულყოფილი მოდელი, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ადამიანი.

თავი VI

ლექსის „მზე შინა და მზე გარეთა" სიმბოლიკა

ლექსით „მზე შინა და მზე გარეთა" მშობლები ბავშვის დაბადებას ეგებებოდნენ. იგი საწესო ხასიათის ტექსტებს მიეკუთვნება. სრულდებოდა ძეობაზე, გუნდის მიერ.

იგი აშკარად წარმარული დროიდან არსებობს ჩვენში. შესაძლოა მან, შეცვლილი სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მთავარი ელემენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ქრისტიანობამდელ ეპოქას მივაკუთვნოთ, შენარჩუნებულია.

პირველ რიგში, ეს არის მზისადმი თაყვანისცემა. მეცნიერული კვლევების მიხედვით, წარმართულ ხანაში ადამიანები მნათობს ქალად, მდედრ არსებად წარმოიდგენდნენ. ამაზე ხალხური ლექსებიც მეტყველებს:

„ცაზე მზე დაბნელებულა,

მთვარე აყრიდა შაქარსა.

მთვარე ნუ აყრი შაქარსა,

არავინ მოგცემს მაგ ქალსა"

ამ პატარა ლექსითაც კი აშკარად ჩანს, რომ ხალხურ წარმოდგენებში მზე მდერია, ხოლო მთვარე-მამრი.

ქართველ ხალხს გაპიროვნებული ჰყავდა მზე. იგი ისევე იცინოდა, როგორც ჩვენ, საუბრობდა, ჰყავდა ოჯახი, და ა.შ.

მზესთანაა დაკავშირებული მიწის ნაყოფიერება. ჩემი აზრით, ლოგიკურია ის ფაქტი რომ მნათობი ოჯახში ახალი წევრის გაჩენას, გამრავლებას დაუკავშირეს. სწორედ ის უნდა ყოფილიყო ამქვეყნად ახლად მოვლენილი არსების მფარველი და ამავდროულად, მისი ოჯახისთვის უხვი მოსავლის მომცემი.

ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ვხვდებით ასეთ ტაეპებს: ,, მზევ შემოდი ბაკებსაო,... ცხვარს დაგიკლავ მაკესაო". ცხვარი და ბაკები აქ განსაზღვრული რწმენისა და წესის ნიშნებია. პირველ რიგში, ეს უნდა იყოს დოვლათის და ნაყოფიერების სიმბოლო, რადგან ცხვარი ოდითგანვე დოვლათის ნიშნად ითვლებოდა.

ცხადია, რომ ეს აღთქმა-დაპირება, მაკე ცხვარი, ქალური ღვთაების, მზისთვის, ბედნიერი მშობიარობისთვის სამადლობლად განკუთვნილ მხვერპლს წარმოდგენს.

ერთი შეხედვით უცნაურად აღიქმება მზის შეპატიჟება ბაკში, ცხოველთა ადგილსამყოფელში, თუმცა იმ პერიოდისათვის,'' როდესაც საგალობელი შეიქმნა, ქალები პირუტყვთა საცხოვრებლებში მშობიარობდნენ. ისინი რაც შეიძლება მოშორებით უნდა ყოფილიყვნენ წმინდა ადგილის- კერიისაგან.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ჰელიოსი (მზე) ხშირად მწყემსავდა ხარებსა და ცხვრებს.

მზის კულტზე საუბრისას, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სოციალური ფორმაციების დროს, კაცობრიობამ პირველად მატრიარქალური წყობის საფეხური გაიარა. იგი გულისხმობდა ქალის ლიდერობას აბსოლუტურად ყველა სფეროში. დროთა განმავლობაში შეიქმნა ქალის კულტი, რაზეც იმ დროის ქანდაკებები მეტყველებს.

ამ ყველაფრის ფონზე, ადვილი მისახვედრია რამდენად დიდი უპირატესობა ექნებოდა ქალის დაბადებას ვაჟის დაბადებასთან შედარებით.

მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ, ქალის დაბადებასთან დაკავშირებით შეიქმნა ,,მზე შინა და მზე გარეთა". წყობილების მიხედვით, ქალი იყო ოჯახის მმართველი, პატრონი. სწორედ მას მიუძღოდა მთავარი როლი განაყოფიერების საკითხში. ამიტომაც დაუკავშირეს იგი მზეს- დედამიწის გამნაყოფიერებელს.

ცალკე საკითხია აკრძალვის არსებობა: ,,ვაჟის მამა შინ არ არის მზევ შინ შემოდიო". თუკი ადათ-წესებს თვალს გადავავლებთ, გაგვახსენდება ქალის მოლოგინების მთელი რიგი ტრდიციები, რომელთა თანახმადაც, მშობარესთან უნდა

ყოფილიყვნენ მხოლოდ ქალები და არავითარ შემთხვევაში ბავშვის მამა, ანდა სხვა უცხო მამაკაცი.

ლექსის ერთ ვარიანტში გარდა მზისა, ვხვდებით მთვარესაც. იგი წარმოგვიდგება როგორც მამრი არსება:

,,მელოგინე ვაჟის დედა

კარგა გვიმყოფეო.

ვაჟის მამა ფარეხშია

მაკე ცხვრისთვისაო.

მზე დაწვა და მთვარე შობა,

მზევ შინ შემოდიო".

ლექსის ეს ვარიანტი ზემიწევნით ასახავს საზოგადოებრივი ფორმაციის იმ ეტაპს, როდესაც დაირღვა მატრიარქატული სისტემა. ამ პერიოდში ქალმა დაკარგა მმართველობის უფლება და როგორც საზოგადოებრივი,ისე ოჯახური უფლებები გადავიდა მამაკაცებზე. მსგავსი ვარიანტები მრავლად მოგვეპოვება ქართულ ხალხურ პოეზიაში:

,,მზე დაწვა და მთვარე შობა!

მზე შინ შემოდიო,

ჩვენ ვაჟი დაგვბადებია

მზევ, შინ შემოდიო,

დუშმანსა ქალი ჰგონია,

მზევ შინ შემოდიო".

ლექსში ხაზგასმითაა აღნიშნული ვაჟის უპირატესობა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საგალობელი ,,მზე შინა და მზე გარეთა", როგორც წარმართული დროს შექმნილი ნაწარმოები, თავის ვარიანტებში ზედმიწევნით ასახავს ყველა იმ რწმენა-წარმოდგენას, კულტურულ ცვლილებასა თუ ტენდენციას, რომლებიც საზოგადეობის განვითარების ეტაპებზე მიმდინარეობდა. იგი კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას და როგორც ხალხური ნაწარმოები, კვლავ ასახავს ხალხის ისტორიას.

დასკვნა

მნათობთა სიმბოლიკის კვლევისას გამოიკვეთა ასტრალური ნიშნების განსაკუთრებული როლი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, რწმენა-წარმოდგენებში, რიტუალებში და ყოფა-ცხოვრებაში. სამაგისტრო ნაშრომში შევეცადე, თავი მომეყარა იმ მოსაზრებებისათვის, რაც აქამდე საკითხის ირგვლივ არსებობდა და, ამასთან, ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ანალიზის საფუძველზე მიმეღო საკუთარი დასკვნებიც.

საკითხის აქტუალობასა და მის მნიშვნელობას ადასტურებს ქართული ტრადიციული საცხოვრებელი სახლის შიდა სივრცის, კერიის მოწყობის დროს გამოყენებული სიმბოლოები. ე.წ. ,,ბორჯღალა" რომელიც მეცნიერული კვლევების თანახმად, წარმოადგენს მზის ერთგვარ სიმბოლურ გამოხატულებას, ხშირად გვხვდება სკივრებზე, თიხისა და ხის ჭურჭელზე, მერხებზე , ტახტებზე ქვაზე ამოკვეთილი ბუხრის ანდა კერიის დეკორში და რაც მთავარია დედაბოძის ორნამენტულ გაფორმებებში.

კიდევ ერთი სიმბოლო, რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული დედაბოძის ორნამენტში, (ფიგურა ასევე გვხვდება საფლავის ქვებზე, ლითონის, თიხის ან ხის ჭურჭლის ფსკერზე, მის გვერდებზე, მათარაზე და სხვა.) არის რადიალურად განსხვავებული დისკო, წრიული ფიგურა. მეცნიერთა მოსაზრებით, ეს ორნამენტი წარმოადგენს ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლურ გამოხატულებას.

ასტრალური ნიშნებით გამოსახული ცხოველები და ნადირობის სცენები მატერიალური კულტურის ძეგლებზე საშუალებას გვაძლევს ორნამენტის სიმბოლიკა ნადირობის ღვთაებებს, კერძოდ ქალღმერთ დალს დავუკავშიროთ. რადგან , როგორც უკვე ვიცით, ეს უკანასკნელი ცისკრის ვარსკვლავის ასტრალურ ჰიპოტასად გვევლინება.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების საფუძველზე განვიხილეთ ქართველ ხალხში არსებული რწმენა-წარმოდგენები წმინდა გიორგისა და მთვარის კულტის შესახებ. საინტერესოა მათი ურთიერთმიმართება. როგორც აღმოჩნდა, ისინი არა მხოლოდ

სიმბოლურ კავშირს ავლენენ ერთმანეთთან, არამედ დღეობათა რიტუალური შესრულების მხრივაც კი თითქმის იდენტურია ეს ყოველივე.

ჩემი აზრით, ამ ფაქტს განაპირობებს სწორედ ის გარდამავალი პერიოდი, რომელიც რელიგიათა მოაცვლეობას უკავშირდება. შეუძლებელია რაიმე ისტორიულმა მოვლენამ ისე ჩაიაროს, რომ ხალხის კულტურაზე არ იქონიოს გავლენა. მითუმეტეს, თუკი ეს მოვლენა რელიგურ ცვლილებებს გულისხმობს და ხალხის რწმენა-წარმოდგენებს ეხება.

მნათობთა სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ეპოსშიც იჩენს თავს. ნაშრომში განვიხილე ამირანის ეპოსში არსებული ასტრალური სიმბოლოები. თქმულების ვარიანტების გაცნობისას, აშკარა გახდა მთავარი გმირების: ამირანის, ბადრისა და უსიპის კავშირი მზესა და მთვარესთან. თავად ამირანი ხშირადაა შედარებული მზესთან, მზეჟაბუკთან. სვანური ვარიანტის მიხედვით, იგი მზისა და სინათლის მტერ გველეშაპს ამარცხებს. მზესთან კავშირს ავლენს მისი სატრფო ყამარიც. ეპოსის ქართლურ ვარიანტში იგი წოდებულია როგორც ამომავალი მზე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გმირი და მისი ძმები ნაწილიანები არიან. ამირანი და უსიპი მზის რჩეულები არიან, ბადრი -მთვარის.

მზისა და მთვარის სქესის განსაზღვრა საკმაოდ რთული და არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. მართალია ძირითად შემთხვევებში მზე გვევლინება მდედრად- დედად, დად და ა.შ. და მთვარე მამრად- მამად, ძმად და ა.შ, მაგრამ ზღაპრების კვლევისას, გამოიკვეთა მთელი რიგი შემთხვევებისა, სადაც მზე ვაჟად, ხოლო მთვარე ქალად გვევლინება.

ვფიქრობ, ქართულ ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებში მნათობთა სქესის განსაზღვრა ზედმიწევნით ასახავს უძველესი საზოგადოების განვითარების ზოგიერთ ეტაპს.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ახალი ,,ქართლის ცხოვრება" ტ1, თბილისი, კორნელი კეკელიძის სახ. საქ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017, 334გვ.;
2. ,,ბატიბუტას ბიბლიოთეკა", თბილისი, 2012, 38;
3. ვირსალაძე ე. ,,ქართული სამონადირეო ეპოსი", თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება", 1964, 224გვ.;
4. კოტეტიშვილი ვ. ,,ხალხური პოეზია", თბილისი, გამომცემლობა ,,საბჭოთა მწერალი", 1961, 472 გვ.;
5. ,,რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები", თბილისი, გამომცემლობა ,,სახელგამი", 1949, 506 გვ.;
6. სურგულაძე ი. ,,ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა", თბილისი, გამომცემლობა ,,მეცნიერება", 1986, 208გვ.;
7. ,,ქართული ხალხური ზღაპრები" , თბილისი, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო", 1986, 294 გვ.;
8. ,,ქართული ხალხური ზღაპრები" ტ1, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938, 246 გვ.;
9. ,,ქართული ხალხური ზღაპრები" ტ2, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952, 344 გვ.;
10. ,,ქართული ხალხური ზღაპრები" ტ. 3, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956, 336 გვ.;
11. ,,ქართული ხალხური სიტყვიერება" , თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970, 453 გვ;
12. ქურდოვანიძე თ. ,,ქართული ზეპირსიტყვიერების საგანძური" წ1, თბილისი, გამომცემნლობა ,,საქართველოს მაცნე", 2013, 344 გვ.;
13. ღვინიაშვილი ა.,,მზე შინა და მზე გარეთა". ჟურნალი ,,საჭოთა ხელოვნება" N3, 1959, 26-32.;
14. შანიძე ა.,, ქართული ხალხური პოეზია", თილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1931, 706გვ.;

15. ჩიქოვანი მ. ,,მიჯაჭვული ამირანი", თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1947, 450 გვ.;
16. ჭელიძე გ. ,,მზე დედაა ჩემი". თბილისი. გამომცემლობა ,,ხელოვნება". 1976, 62.;
17. ხონელი მ. ,,ამირანდარეჯანიანი". თბილისი. გამომცემლობა ,,მერანი", 1969, 193.;
18. ხალხური სიტყვიერება; მეორე სერია. ,,ქართული ხალხური ზღაპრები" ტ3, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956, 336;
19. ჯავახიშვილი ი. ,,ქართველი ერის ისტორია", თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L", 2012, 399 გვ.;

ელექტრონული რესურსები:

20. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის მონაცემთა კომპიუტერული ბაზა: არმაზი. კავკასიური ენებისა და კულტურების ელექტრონული დოკუმენტირების საფუძვლები http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/folkarch/queryout.asp#outpst